საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (150 კრედიტი სავალდებულო და 30 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოამზადოს სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში დარგის ძირითადი თეორიების, საერთაშორისო პოლიტიკის ცალკეული ასპექტების, ფაქტორების, მექანიზმებისა და ინსტიტუტების შესწავლის საფუძველზე; საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი გააზრებისა და პროგრამული საგნების შესწავლით შეუქმნას შემდგომი უწყვეტი განათლების მოთხოვნილებისა და უზ-რუნველყოფის საფუძველი.
სწავლის შედეგები	აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ძირითად კანონზომიე-რებებს და ტენდენციებს; ფლობს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტირების უნარს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში; შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების და პრობლემების იდენტიფიცირება და ფორუმულირება და მათ შესწავლაში პოლიტიკური მეცნიერებე-ბის, სამართლის, ეკონომიკური მეცნიერებების, სოციოლოგიის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების და ხერხების გამოყენების, ანალიზის და შესაბა-მისი დასკვნის უნარი; შეუძლია კომუნიკაცია (ქართულ (და ინგლისურ) ენაზე) სპეც-იალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების უნარი. შეუძლია საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო, სამოქალაქო და საზოგადოებრივი ეთიკური ნორმების, ჰუმანიზმის, დემოკრატიის და ლიბერალური ღირებულების პრინციპების გააზრება, აღიარება, დაცვა და პატივისცემა.
შეფასების წესი	**სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:** ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: **ირაკლი მანველიძე** ტელ : 577 14 10 99 e-mail irakli.manveliZe@yahoo.com